

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43
2023 წლის 26 დეკემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ საქართველოს კანონის 78 -ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №34 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 26/12/2022 წ. 190020020.35.153.016626) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი (მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი).

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ელოშვილი

დანართი

თავი I

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	38,654.8	38,640.9	28,609.6	10,031.3	32,903.0	32,632.7	270.3
გადასახადები	21,967.2	23,029.6	23,029.6	-	26,824.7	26,824.7	-
გრანტები	7,050.2	10,031.3		10,031.3	270.3		270.3
სხვა შემოსავლები	9,637.5	5,580.0	5,580.0	-	5,808.0	5,808.0	-



II. ხარჯები	25,767.0	32,879.9	31,640.5	1,239.5	30,145.5	29,875.2	270.3
შრომის ანაზღაურება	4,016.3	5,129.3	4,903.3	226.0	5,652.3	5,652.3	-
საქონელი და მომსახურება	5,930.3	10,533.2	9,768.7	764.5	5,789.9	5,789.9	-
პროცენტი	62.3	65.8	65.8	-	65.0	65.0	-
სუბსიდიები	13,770.9	14,189.8	13,940.8	249.0	15,820.5	15,550.2	270.3
გრანტები	42.0	42.0	42.0	-	142.0	142.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,156.7	1,468.8	1,468.8	-	1,442.0	1,442.0	-
სხვა ხარჯები	788.5	1,451.0	1,451.0	-	1,233.8	1,233.8	-
III. საოპერაციო სალდო	12,887.8	5,760.9	- 3,030.9	8,791.8	2,757.5	2,757.5	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,808.0	41,499.6	32,147.7	9,352.0	2,630.5	2,630.5	-
ზრდა	25,173.7	42,099.6	32,747.7	9,352.0	3,560.5	3,560.5	-
კლება	13,365.7	600.0	600.0	-	930.0	930.0	-
V. მთლიანი სალდო	1,079.8	-35,738.7	- 35,178.5	- 560.2	127.1	127.1	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	954.1	-35,864.5	- 35,304.3	- 560.2	-	-	-
ზრდა	954.1	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	954.1	-	-	-	-	-	-
კლება	-	35,864.5	35,304.3	560.2	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	35,864.5	35,304.3	560.2	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 125.7	- 125.8	- 125.8	-	- 127.1	- 127.1	-
კლება	125.7	125.8	125.8	-	127.1	127.1	-
საშინაო	125.7	125.8	125.8	-	127.1	127.1	-
სესხები	125.7	125.8	125.8	-	127.1	127.1	-
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

		2023 წლის გეგმა		2024 წლის პროექტი	
	2022		მათ შორის		მათ შორის



დასახელება	წლის ფაქტი	სულ	სულ		სულ	სულ	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	52,020.5	39,240.9	29,209.6	10,031.3	33,833.0	33,562.7	270.3
შემოსავლები	38,654.8	38,640.9	28,609.6	10,031.3	32,903.0	32,632.7	270.3
არაფინანსური აქტივების კლება	13,365.7	600.0	600.0	-	930.0	930.0	
გადასახდელები	51,066.4	75,105.4	64,513.9	10,591.4	33,833.0	33,562.7	270.3
ხარჯები	25,767.0	32,879.9	31,640.5	1,239.5	30,145.5	29,875.2	270.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,173.7	42,099.6	32,747.7	9,352.0	3,560.5	3,560.5	-
ვალდებულებების კლება	125.7	125.8	125.8	-	127.1	127.1	-
ნაშთის ცვლილება	954.1	-35,864.5	- 35,304.3	- 560.2	-	-	-

მუხლი 3. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს **32 903,0** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
შემოსავლები	38,654.8	38,640.9	32,903.0
გადასახადები	21,967.2	23,029.6	26,824.7
გრანტები	7,050.2	10,031.3	270.3
სხვა შემოსავლები	9,637.5	5,580.0	5,808.0

მუხლი 4. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს **26 824,7** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
გადასახადები, მათ შორის:	21,967.2	23,029.6	26,824.7
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8,354.7	10,079.6	12,824.7



ქონების გადასახადი	13,612.5	12,950.0	14,000.0
საწარმოთა ქონებაზე	9,443.1	10,150.0	11,000.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	733.2	220.0	270.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	497.0	320.0	370.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,939.1	2,260.0	2,360.0

მუხლი 5. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან განისაზღვროს **270,3** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	7,050.2	10,031.3	270.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან	0.0		
მიმდინარე, მათ შორის:	828.8	980.4	270.3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის	828.8	980.4	270.3
კაპიტალური, მათ შორის:	6,221.3	9,050.9	-
კაპიტალური ტრანსფერი	4,985.4	4,664.0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ლონისძიებებზე	99.9	2,900.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	836.0	846.0	
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი		370.9	
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	300.0	270.0	



მუხლი 6. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს **5 808.0** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	9,637.5	5,580.0	5,808.0
შემოსავლები საკუთრებიდან	4,511.3	1,920.0	2,120.0
პროცენტები	3,329.3	1,000.0	1,000.0
რენტა	1,182.1	920.0	1,120.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1,020.5	800.0	1,000.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან	161.6	120.0	120.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,334.4	1,420.0	1,440.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	1,279.3	1,400.0	1,400.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.4	-	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	601.3	1,000.0	1,000.0
სანებართვო მოსაკრებელი	676.7	400.0	400.0
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	55.1	20.0	40.0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	55.1	20.0	40.0
სანქციები, ჯარიმები და საურავები	3,697.7	2,240.0	2,248.0
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	3,214.1	2,000.0	2,000.0
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	117.7	49.5	50.0
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	365.9	190.5	198.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	94.1	-	-
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	94.1	-	-

მუხლი 7. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **30 145,5** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი



ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	25,767.0	32,879.9	31,271.7	1,189.4	30,145.5	29,875.2	270.3
შრომის ანაზღაურება	4,016.3	5,129.3	4,903.3	226.0	5,652.3	5,652.3	-
საქონელი და მომსახურება	5,930.3	10,533.2	9,768.7	764.5	5,789.9	5,789.9	-
პროცენტები	62.3	65.8	65.8	-	65.0	65.0	-
სუბსიდიები	13,770.9	14,189.8	13,572.0	199.0	15,820.5	15,550.2	270.3
გრანტები	42.0	42.0	42.0	-	142.0	142.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,156.7	1,468.8	1,468.8	-	1,442.0	1,442.0	-
სხვა ხარჯები	788.5	1,451.0	1,451.0	-	1,233.8	1,233.8	-

მუხლი 8. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **2 630,5** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **3 560,5** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **930,0** ათასი ლარი.

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	782.7	2,348.8	80.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	782.7	2,348.8	80.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	20,616.3	35,231.9	3,480.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,797.5	20,901.5	1,410.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,143.9	2,765.8	70.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	701.0	185.5	-
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	122.4	1,635.4	-
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	-	-	1,030.5
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,454.9	2,551.0	-
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	679.5	2,218.0	-



02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	282.7	9.3	-
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	573.8	1,983.3	970.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	3,860.8	2,982.2	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	774.0	375.8	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	372.5	279.5	-
03 02	მწვანე ნარჩენების გაშენება, მოვლა-პატრონობა	401.4	96.3	-
04 00	განათლება	638.8	1,293.3	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	97.5	3.2	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	323.0	1,285.8	-
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	218.3	4.4	-
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,854.3	2,849.8	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,541.8	2,751.4	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	312.5	98.4	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	507.6	0.0	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	505.2	0.0	-
06 02	სოციალური დაცვა	2.4	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	25,173.7	42,099.6	3,560.5

ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი	13,365.7	600.0	930.0
მირითადი აქტივები	12,681.8	-	200.0
არაწარმოებული აქტივები	683.8	600.0	730.0

მუხლი 9. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:



ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	8,202.8	11,355.3	9,535.9
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8,140.5	11,289.5	9,470.9
7.1.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	8,140.5	10,989.5	9,170.9
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	300.0	300.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	62.3	65.8	65.0
7.2	თავდაცვა	246.4	294.4	0.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	246.4	294.4	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	14,470.5	27,251.8	3,120.5
7.4.5	ტრანსპორტი	9,970.7	22,155.1	2,590.5
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9,970.7	22,155.1	2,590.5
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4,499.8	5,096.7	530.0
7.5	გარემოს დაცვა	3,369.6	3,124.6	3,000.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2,805.0	2,775.0	2,775.0
7.5.3	გარემოს დაზიანებების წინააღმდეგ ბრძოლა	564.639	349.6	225.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	10,641.5	15,470.2	4,390.0
7.6.1	ბინათმშენებლობა	253.2	1,731.8	100.0
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,271.2	5,191.6	1,100.0
7.6.3	წყალმომარაგება	3,760.0	3,852.8	1,230.0
7.6.4	გარე განათება	2,017.3	1,965.5	1,660.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,339.8	2,728.6	300.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	294.5	301.0	322.3
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	294.5	301.0	322.3
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,965.2	6,475.0	3,374.0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,115.7	4,824.6	1,712.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,849.6	1,630.4	1,642.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	20.0	20.0
7.9	განათლება	6,796.9	8,391.7	7,602.9



7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	6,113.3	7,836.9	7,552.9
7.9 2	ზოგადი განათლება	683.7	554.8	50.0
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	683.7	554.8	50.0
7 10	სოციალური დაცვა	1,953.4	2,315.5	2,360.3
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	787.1	900.0	900.0
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	98.0	95.8	133.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	375.0	1,092.7	1,097.5
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	693.2	227.0	229.8
	სულ	50,940.7	74,979.6	33,705.9

მუხლი 10. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 127.1 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 2,757.5 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	12,887.8	5,760.9	2,757.5
მთლიანი სალდო	1,079.8	- 35,738.7	127.1

მუხლი 11. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	954.1	-35,864.5	0.0
ზრდა	954.1	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	954.1	0.0	0.0
კლება	0.0	35,864.5	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	35,864.5	0.0



მუხლი 12. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-127.1) ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	- 125.7	- 125.8	- 127.1
კლება	125.7	125.8	127.1
საშინაო	125.7	125.8	127.1
სესხები	125.7	125.8	127.1

ბიუჯეტის ვალდებულებების კლება - 127.1 ათასი ლარის ოდენობით - წარმოადგენს 5 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენის მიზნით, 2017 წელს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

თავი II

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7 510,5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7,510.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,410.0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	1,250.0
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	160.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,330.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,160.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	70.0
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100.0



02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,660.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,660.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	1,300.0
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	360.0
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	1,180.5
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	830.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელეები)	300.0
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	80.0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	450.0
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,000.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		1,410.0
პროგრამის განმარტების მიზანი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის მიზანი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ქვეითა და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ხმაურისა და გარემოს დაზინმურების შემცირებას, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას.</p> <p>განხორციელდება არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება, ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი;</p>		



მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p> <p>გაზრდილია გზების ექსპლუატაციის პერიოდი;</p> <p>მოწესრიგებულია ადგილობრივი გზების ინფრასტრუქტურა.</p>
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2024 წლის დაფინანსება
	02 01 02		ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი			1,250.0
ქვეპროგრამის მიზანი		<p>ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;</p> <p>მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება;</p>	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება.</p> <p>განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება მუნიციპალიტეტის სოფლებში: მუხათწყარო, ლისი, არაშენდა, მისაქციელი, ქსანი, ვაზიანი, სოფელ წილკნის და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები და სოფელ წეროვანში შიდა საუბნო გზების ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა.</p> <p>უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p>	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კეთილმოწყობა	დაფინანსება
	02 01 03		ათას ლარში
			160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება;		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნის და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები, გზებზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებების მოწყობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან; შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება. 2024 წელს განხორციელდება ქ. მცხეთის N1 საჯარო სკოლის მისასვლელ გზაზე არსებული კიბეების რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება
	02 02		ათას ლარში
			1,330.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; შპს "მცხეთის სოფწყალი";		
პროგრამის მიზანი	მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება;		
	უახლოეს მომდევნო წლებში წყლის სისტემების განვითარება კვლავ ძირითად პრიორიტეტად რჩება; პროგრამა მოიცავს წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის		



პროგრამის აღწერა	<p>სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას;</p> <p>წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუძლებულებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწვევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათი ჩართულობის ხანგრძლივობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>რეაბილიტირებულია წყლის და წყალარინების სისტემა;</p> <p>უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება;</p> <p>გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		1,160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს "მცხეთის სოფწყალი"		
ქვეპროგრამის მიზანი		მცხეთის მუნიციპალიტეტის 62 სოფელში (12500 მომხმარებელი) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წყალსადენების რეგულარული მომსახურება, წყლის რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, ამორტიზებული, დაზიანებული ტუმბოების და ჩამკვეტ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთება;	
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში დროულადაა აღმოფხვრილი წყალმომარაგების ქსელში დაზიანებები და უზრუნველყოფილია სუფთა სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი;	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალური რეაბილიტაცია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა.</p> <p>განხორციელდება სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა; მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას შეუფერხებლად მიეწოდება სასმელი წყალი; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	საკანალიზაციო სისტემის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის მიზნით განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება).		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება;		



პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	ათას ლარში
	02 03		1,660.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის მიზანი	გარე განათების ქსელის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა გარე განათების ქსელის განვითარებას და ამ პროცესების მართვას.</p> <p>მუნიციპალიტეტში ღამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების გამართული ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთის და 21 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 54 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართული ინფრასტრუქტურა;</p> <p>უზრუნველყოფილია ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 01		1,300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ მცხეთაში და მცხეთის მუნიციპალიტეტის 60 სოფელში გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება.		
მოსალოდნელ შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება, ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 02		360.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		



ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთის და 21 ადმინისტრაციულ ერთეულში შემაჯალ 54 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რაც გულისხმობს გადაამწვარი ნათურების, დიოდური პროექტორების, ეკო სანათების, დიოდური სანათების, დროსელის და მწყობრიდან გამოსული სხვა ელექტრო მოწყობილობების შეცვლას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მთელი წლის მანძილზე, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება;</p> <p>დროულადაა აღმოფხვრილი პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორებისთვის სუფთა კომფორტული მიმზიდველი გარემოს შექმნა		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების უსაფრთხო და გამართული ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად, გარკვეული პერიოდულობით აუცილებელია მცირე კაპიტალური, სარეაბილიტაციო სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ხელმისაწვდომია და ეფექტურადაა განხორციელებული მუნიციპალური სერვისები;</p> <p>გაუმჯობესებულია ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე;</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		1,180.5
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის მიზანი	სატრანსპორტო სისტემის განვითარება		
პროგრამის აღწერა	ხელშეკრულების პირობების მიხედვით 10 (ათი) ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p> <p>უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.</p>		



პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		830.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის მიზანი	სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისთვის; კომფორტული და ჯანსაღი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის.		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, რეკრეაციული ზონების, მოსაცდელის მოწყობა/რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე და მოსახლეობისთვის შექმნილია კომფორტული და ჯანსაღი გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელელები)	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	სარეკრეაციო და გამწვანებული სივრცეების გაფართოება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სარეკრეაციო დასასვენებელი სივრცეების და სკვერების მოწყობა, არსებულის აღდგენა-რეაბილიტაცია, სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი, გაუმჯობესებული და ახლად მოწყობილია სარეკრეაციო სივრცეები; უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		80.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		



ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის სუფთა, კომფორტული, მიმზიდველი გარემოს შექმნა;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ბორდიურების და კედლების სარემონტო სამუშაოები, განათების ბოძების და მოაჯირების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების და სკამების შეკეთება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.
მოსალოდნელი შედეგი	შეუფერხებლად ხორციელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე და დასასვენებელი პირობები მოსახლეობისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		450.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი		სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა; სადღესასწაულო გარემოს შექმნა;	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტში სათანადო ყურადღება ეთმობა სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას სადღესასწაულო განწყობა ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საახალწლო დეკორაციების და მასალების შექმნა, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი/ექსპლუატაცია/დემონტაჟი და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკურად უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ტექნიკურად უზრუნველყოფილი სადღესასწაულო ღონისძიებები. შექმნილია სადღესასწაულო გარემო;	

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		1,000.0
პროგრამის განმახორციელებელი		მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური;	
პროგრამის მიზანი		პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	
პროგრამის აღწერა		სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება, 50 000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი ექსპერტიზა გავლილი	



	საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დროულად და კვალიფიციურად არის მომზადებული საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაცია; ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით უზრუნველყოფილია შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3 000,0** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,000.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,775.0
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	145.0
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	145.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2,775.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა		
	მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებისა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა		



პროგრამის აღწერა	<p>და ვიზიტორთა კეთილდღეობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცალკეული ტერიტორიის მწვანე საფარის, ქუჩების, გზების, სულ 179,420 კვ.მ. ფართობის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (დღეში 50 ტონა ნარჩენი) 45 კმ-ზე კასპის ნაგავსაყრელზე 12 ნაგავმზიდით, სანაგვე კონტეინერების (1,1 მ³ ტევადობის 1570 ერთეული კონტეინერი) მოვლა-პატრონობა, გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან.</p> <p>ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	03 02 01		145.0
პროგრამის მიზანი	<p>ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“</p> <p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.</p>		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია.</p> <p>მუნიციპალიტეტში მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად იქნება ჩატარებული სხვადასხვა სახის სამუშაოები: მწვანე საფარის გაწმენდა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე-მცენარეების ამოძრკვა და გატანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა/გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლა, საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა, გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილა;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	03 04		80.0
	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური</p>		



პროგრამის მიზანი	უმეტესად უწყვეტ, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება
პროგრამის აღწერა	დაგეგმილია ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული უპატრონო ცხოველების (მაღლების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა და ტრანსპორტირება, სტერილიზაცია, კასტრაცია, ვაქცინაცია და დაბირკვა
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია უმეტესად უწყვეტ, უპატრონო შინაური ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **7 602,9** ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	7,602.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	7,552.9
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	50.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		7,552.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“		
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა		
პროგრამის აღწერა	<p>ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2100-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 556 თანამშრომელი, მ.შ. 137 აღმზრდელი და 88 თანაშემწე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნას, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვას, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთებას და მოვლა-შენახვას, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო;		



პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		50.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური		
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა და მაღალი აკადემიური მოსწრების სტიმულირება;		
პროგრამის აღწერა	<p>განათლება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 საჯარო სკოლა, იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სკოლის მოსწავლეების სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება, ვინაიდან მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს.</p> <p>მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეებს წახალისებს ფულადი ჯილდოთი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების უზრუნველყოფა ტრანსპორტით დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლების მოსწავლეების მაღალი აკადემიური მოსწრება; ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები;		

მუხლი 16 . კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3 374,0** ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი



05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3,374.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,712.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,712.0
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	330.0
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	298.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	453.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	281.0
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	250.0
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,662.0
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,342.0
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,300.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	300.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება
	05 01		ათას ლარში
			1,712.0
პროგრამის განმახორციელებელი	<p>ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;</p> <p>ა(ა)იპ „უმადლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“;</p> <p>ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“</p> <p>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;</p>		
პროგრამის მიზანი	<p>მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>		
	<p>ფიზიკური აქტივობა აუცილებელია ადამიანისათვის, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ამლიერებს იმუნიტეტს და ავითარებს ტვინის უჯრედებს, ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელი მითითებით, ისე</p>		



პროგრამის აღწერა	<p>გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.</p> <p>ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები). დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღი გასართობი მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი და სხვა). აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.</p> <p>მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.</p> <p>პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება ფეხბურთის, კანოესა და ნიჩბოსნობის, კიდაობის, სპორტის სხვადასხვა სახეობის, საცურაო სპორტის, რაგბის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახეობებში საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;</p> <p>მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 01 01 01		330.0
ქვეპროგრამის მიზანი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი), სადაც ჩარიცხულია 315 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. 3 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს იღებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში, დანარჩენი 14 ჯგუფი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში	
მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		298.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“
ქვეპროგრამის მიზანი	წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისთვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში ნიჩბოსნობას ეუფლება 90 სპორტსმენი (11 ჯგუფი). ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის გარეთ.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობა; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები; წარმატებული გამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		453.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“		
ქვეპროგრამის მიზანი	ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის უმაღლესი კვალიფიციური სპორტსმენების მომზადება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში და ტურნირებში, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილე სკოლის ნიჭიერი/წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი/ფასიანი საჩუქრებით.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		281.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“		
	სპორტის სხვადასხვა სახეობების - ჭადრაკის, კარატეს, ტაიკვანდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის,		



ქვეპროგრამის მიზანი	კრივის - პოპულარიზაცია; მასობრივი სპორტის სახეობების განვითარება.
ქვეპროგრამის აღწერა	სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 16 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 2, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვანდოს - 1, ჭადრაკის - 1) კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 264 მოსწავლე.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ფიზკულტურასა და სპორტში; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“		
ქვეპროგრამის მიზანი	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, რათა მთლიანობაში კომპლექსი გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.		
ქვეპროგრამის აღწერა	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 06		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ 'მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი'		
